ქ. წყალტუბო 18იანვარი 2024 წელი

ერთი მხრივ, ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,საბავშო ბაღების გაერთიანება '' წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. წყალტუბო , ვაჟა ფშაველას N1
საიდენტიფიკაციო კოდი: № 221281636
ტელეფონის ნომერი: 599 280251
საბანკო რეკვიზიტები: ფინასთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:

და მეორე მხრივ, შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზია" წარმოდგენილი მისი დირექტორის ბიქტორ ბალანჩივაძის სახით. (შემდგომში მიმწოდებელი),

მისამართი: ქ.წყალტუბო
საიდენტიფიკაციო კოდი: 202403121
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:GE518BG0000000233446203

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", (საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას(შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,განაწილების ლიცენზიატი" უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურეობის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,განაწილების ლიცენზიატს" უხდის განაწილებულ ქსელზე მიერთების საფასურს. (შემდგომში-მომსახურეობა).
2. ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ ქ.წყალტუბოს 4 საბავშვო ბაგა-ბაღში შიდა ქსელის გაზმომარაგებისათვის საჭირო საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოები (შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ).
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45333200-გაზინფიცირება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1,ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 9465.27 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი.3 სამუშაოს შესრულების ვადა

1.მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის ჩათვლით.

მუხლი4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1.განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია
ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის უზრუნველყოფა.
შეუდგეს სამუშაოს 4.2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შესახებ სათანადო დოკუმენტაციის მიღების მომენტიდან არა უგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღეში.
შემკვეთის მოთხოვნის შესაბამისად მოაწოდოს მას ინფორმაცია მომსახურეობის მიმდინარეობის შესახებ, შეასრულოს მომსახურეობა საკუთარი რისკის ხარჯზე. დაუყონებლივ შეატყობინოს ,,შემკვეთს" იმ გარემოების შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ მომსახურეობის განხორციელებას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდეგ გაგრძელებას.
2. შემკვეთი ვალდებულია დროულად აანაზღაუროს ,,განაწილების ლიცენზიატის" მიერ შესრულებული მომსახურეობა. დროულად განიხილოს შემსრულებელის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1.ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველის მიერ მისი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ფორს მაჟორი

1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება

გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრიცი არეულობა.ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ(ფორს მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

მუხლი. 1 მომსახურეობის ობიექტის ან მისი ნაწილის შემთხვევითი დაღუპვის რისკს ატარებს ,,განაწილების ლიცენზიატი“ ეს რისკი გადადის ,,შემკვეთზე“ მომსახურეობის დამთავრების შესახებ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს. თუ რისკი გადადის ,,შემკვეთზე“ მომსახურეობის დამთავრების შესახებ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს, თუ მომსახურეობის ობიექტი განადგურდა ,,შემკვეთის'' მიზეზით ,,განაწილების ლიცენზიატს“ უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო ამ მომენტისთვის შესრულებული მომსახურეობის.

2, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.,,განაწილების ლიცენზიატი“ უფლებამოსილია მომსახურეობის საფასურის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დამატებით მოთხოვოს ..შემკვეთს“ პირგასამტეხლო გადაუხდელი სახელშეკრულებო თანხის 0.1 % ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

1, ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს, გაუქმდეს ან მიჩნეულ იქნას ბათილად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით ან მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით.

მუხლი 9. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით, ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილს.
2. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2(ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან(ერთ პირი-შემსყიდველთაგან და ერთი პირი-მიმწოდებელთაგან).

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:

Union of Kindergartens of Tskaltubo Municipality

Digitally signed by Union of Kindergartens of Tskaltubo Municipality
Date: 2024.01.18 11:25:53 +04'00'

მიმწოდებელი :

Biktor Balanchivadze 60001002739

Digitally signed by Biktor Balanchivadze
Date: 2024.01.18 15:26:29

წყალტუბო სოფელი გუმბრა	გადასახდელი თანხა
აბონენტის ნომერი: 2118032863	879.83
სოფელი წყალტუბო	გადასახდელი თანხა
აბონენტის ნომერი: 2118032841	1798,99
წყალტუბო სოფელი ხომული	გადასახდელი თანხა
აბონენტის ნომერი:2118032829	2063.77
წყალტუბო სოფელი ქვიტირი	გადასახდელი თანხა
აბონენტის ნომერი: 2118032738	4722.68

ჯამი:9465.27